

განხილულია ტექნიკური
საბჭოს სხდომაზე
ოქმი N 7 28.06.24



„ვამტკიცებ“

სკოლის დირექტორი

ალ. ჯავახიშვილი

03.07.2024

შპს არასახელმწიფო საერო სკოლა „ალბიონი“

შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი

შპს არასახელმწიფო საერო სკოლა „ალბიონი“

შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი

ვერიფიკაცია არის სკოლაში გამოყენებული შეფასების სისტემის რეფლექსია სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის თვალსაზრისით (ვერიფიკაცია - დებულების ჭეშმარიტების დადგენა შემოწმების გზით).

ვერიფიკაცია ეს არის რეალურად მოსწავლის მიღწევის ანალიზი, რომელიც სასწავლო პროცესის განუყოფელი ნაწილია და და ადასტურებს, თუ რამდენად ასრულებს სასკოლო შეფასების სისტემა მოსწავლის მხარდაჭერის ფუნქციას.

ვერიფიკაცია ხარისხის უზრუნველყოფის შიდა სისტემის ნაწილია, რომელზეც პასუხისმგებელია სკოლის დირექტორი და ხარისხის განვითარებისა და მხარდაჭერის ჯგუფი.

ვერიფიკაცია სამი მიმართულებით ხორციელდება:

1. შეფასების ინსტრუმენტის ვერიფიკაცია
2. პროცესის ვერიფიკაცია
3. უკვე შექმნილი მტკიცებულებების ვერიფიკაცია

ვინაიდან ყველა ინსტრუმენტის, პროცესების და მტკიცებულების ვერიფიკაცია პრაქტიკულად შეუძლებელია, ხარისხის უზრუნველყოფის ჯგუფმა წინასწარ უნდა დაადგინოს არსებული რესურსებით (ჯგუფის შესაძლებლობები) რამდენი ინსტრუმენტის ან/და მტკიცებულების შემოწმებაა შესაძლებელი.

პირველ დონეზე ჯგუფი განიხილავს რა საკუთარ შესაძლებლობებს, ახდენს რისკების შეფასებას, რის საფუძველზეც განსაზღვრავს მაღალი ინტერესის რისკფაქტორებს. მაგალითად:

- მასწავლებლის ფაქტორი:
- დამწყები მასწავლებელი
 - მაძიებელი მასწავლებელი/ მასწავლებლის მომზადების 60 კრედიტიანი პროგრამის მსმენელი
 - სასწავლო საგანი/საგნები (ტექნიკური, ჰუმანიტარული, არჩევითი, სასკოლო სტანდარტი...)
 - პროფესიული მახასიათებელი (კლასის მართვა, მეთოდების და აქტივობების მრავალფეროვნება, შეფასების ინსტრუმენტების მრავალფეროვნება? ემოციის მართვა)

მოსწავლის ფაქტორი:

- საფეხურის ან/და კლასის მახასიათებელი (მაგალითად, დამწყები - პირველი კლასი' დამამთავრებელი - მეთორმეტე კლასი...)
- შედეგი, რომელზეც უნდა გავიდეს მოსწავლე (როგორ? სტანდარტის კრიტერიუმებიდან? მიზნებიდან? ცნებებიდან?)
- მოსწავლეთა ნაშრომების? თუ ნამუშევრების სიმრავლე. აქ გამოჩნდება ნაშრომის ტიპი თუ სახე ... (რა გვაქვს: ნახატი, ესე, ტექსტი, კვლევის ანგარიში, პრეზენტაცია.. და თან როგორი სახით)

ამის გათვალისწინებით ვერიფიკაციისათვის სკოლა იყენებს შერჩევითობის პრინციპს. განისაზღვრება ერთი და იგივე ინსტრუმენტის ფარგლებში შექმნილი მტკიცებულებების საერთო რაოდენობის 20%, ან, უარყოფითი შედეგების შემთხვევაში აღნიშნული მტკიცებულებები ფასდება სრულად, რის შემდეგაც განისაზღვრება შემდეგი რეაგირების მიმართულება და მექანიზმები.

ვერიფიკაცია, გარკვეულწილად, არის იმის გარანტი, რომ შეფასების მოთხოვნები დაცულია და სწორადაა ინტერპრეტირებული.

ვერიფიკაცია (შემოწმება) მოიცავს შეფასების ნიმუშების შერჩევას, მონიტორინგს და კონკრეტული მასწავლებლის პრაქტიკის შესწავლას იმის უზრუნველსაყოფად, რომ შეფასება არის ზუსტი, ვალიდური და თანმიმდევრული. ანუ, არის ხელშემწყობი მექანიზმი იმის დასადგენად, რომ შეფასების დროს შემფასებლები (მასწავლებლები) იღებენ სწორ გადაწყვეტილებას შეფასების კრიტერიუმების საფუძველზე.

ვერიფიკაცია გამოიყენება შეფასების პროცესის ხელშემწყობ მექანიზმად:

- ეხმარება მასწავლებლებს შეფასების პროცესის გაუმჯობესების საქმეში
- საშუალებაა დავადგინოთ, რამდენად სამართლიანი და თანმიმდევრულია შეფასება და გამოყენებული პროცედურები
- იძლევა საშუალებას შევარჩიოთ მტკიცებულებათა სახეები და კატეგორიები
- ვადგენთ წარმოდგენილი მტკიცებულებების შესაბამისობას სკოლაში შემუშავებულ და მოქმედ შეფასების წესთან და სტანდარტის მოთხოვნებთან.
- არის საშუალება მოვახდინოთ კურიკულუმის განხორციელების მონიტორინგი და შეფასება, გადასინჯვა და რევიზია...
- ჩანს მასწავლებლის საჭიროებაც (იძლევა საშუალებას განვსაზღვროთ პროფესიული განვითარების მიმართულება)

ვერიფიკაციის პროცესის დასკვნაში ნათლად უნდა იკვეთებოდეს რამდენად ობიექტური და ვალიდურია შეფასება, უნდა იძლეოდეს პრობლემების იდენტიფიცირების საშუალებას და გამოყენებულ იქნას განვითარებისათვის.

ვერიფიკაციის პროცესის ორგანიზაციას განახორციელებს სკოლის დირექცია და ხარისხის განვითარებისა და მხარდაჭერის ჯგუფი.

პროცესის ეტაპებია:

1. შიდა შეფასების დაგეგმვა;
2. შიდა შეფასების ჯგუფის წევრები (ე.წ. ვერიფიკატორების) შერჩევა;
3. შიდა შეფასების ჯგუფის მეშვეობით მასწავლებლის მიერ განხორციელებული შეფასების გადამოწმება და რეკომენდაციების გაწევა (საჭიროებისამებრ);
4. საგნობრივი კათედრების ჩართულობით სათანადო ფორმის შემუშავება, სადაც აღწერილია მასწავლებლის მიერ განხორციელებული შეფასების შემოწმების შედეგები, პროცესის მიმდინარეობა და გაცემული რეკომენდაციები.
5. შემუშავებული შეფასების ფორმის განხილვა და დამტკიცება სკოლის პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე;
6. შესაძლებლობისა და საჭიროების ფარგლებში გარე შემფასებლების მოწვევა; მათ მიერ გაცემული რეკომენდაციების განხილვა.
7. რეკომენდაციების შესრულების სამოქმედო გეგმის შედგენა;
8. შიდა შეფასების ჯგუფის წევრების (ე.წ. ვერიფიკატორების) შერჩევის კრიტერიუმების შემუშავება დირექციისა და კათედრების მიერ;
9. შიდა შეფასების ჯგუფის წევრების მიერ შემუშავებული დასკვნისა და რეკომენდაციების განხილვა და რეკომენდაციების შესრულების სამოქმედო გეგმის შედგენა
10. კურიკულუმებში შესაბამისი ცვლილებების შინაარსის (რა?) და განვითარების (როგორ?) პროცედურების დაგეგმვა.
11. შედეგების შეჯამება საგნობრივი კათედრების სხდომებზე/პედსაბჭოზე.

შიდა შეფასების ჯგუფის წევრები, ვერიფიკატორები:

1. შემოწმების პროცესის დაწყებამდე, გამართავს საკოორდინაციო შეხვედრას შესაბამისი საგნის პედაგოგებთან. შეხვედრაზე განიხილება ისეთი საკითხები, როგორცაა პროცესის მიმდინარეობა და მოსწავლეთა ნამუშევრების შერჩევა;
2. სწავლის შედეგების შიდა შეფასების პროცესის პირველ ეტაპზე ვერიფიკატორმა უნდა დაადასტუროს, რომ მასწავლებლის მიერ შერჩეული შეფასების მექანიზმები და რესურსები დამაკმაყოფილებელია და პედაგოგის მიერ განხორციელებული ყველა აქტივობა

ადასტურებს სწავლის შედეგების მიღწევას. ამ მიზნით შიდა ვერიფიკატორი პროცესს იწყებს შეფასების ინსტრუმენტის შემოწმებით. ნებისმიერი საგნის შემთხვევაში შემფასებელი აკვირდება:

- რამდენად ეყრდნობა შეფასება მრავალფეროვან წყაროებს;
- შეფასება ხორციელდება თუ არა მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
- შეფასებისას გამოყენებულია თუ არა მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
- ხორციელდება თუ არა შეფასება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

დასკვნაში უნდა აისახოს:

1. რამდენად შესაბამისია შეფასების რუბრიკა შედგენილი დავალების მიზანთან და შინაარსთან?
2. რამდენად გამჭვირვალეა შეფასების კრიტერიუმები?
3. ადასტურებს თუ არა შეფასების რუბრიკა სანდოობასა და ვალიდურობას?
4. მოგროვებულია თუ არა ყველა საჭირო მტკიცებულება?
5. თუ შემოწმების პირველ ეტაპზე გამოვლინდა ხარვეზები შეფასების ინსტრუმენტებში, მოსწავლეთა შეფასებული ნამუშევრების გადამოწმება აზრს კარგავს. ამ დროს შიდა შემფასებელს შეუძლია პროცესი არ გააგრძელოს. იგი წინადადებით მიმართავს სკოლის დირექციას/ ხარისხის განვითარებისა და მხარდაჭერის ჯგუფს შეფასების ინსტრუმენტების გადახედვისა და სათანადო ცვლილებების შეტანის საჭიროების შესახებ.
6. იმ შემთხვევაში, თუ დადასტურდა, რომ შეფასების ინსტრუმენტები შესაბამისია და აკმაყოფილებს ზემოაღნიშნულ კრიტერიუმებს, შიდა ვერიფიკატორი ირჩევს მოსწავლეთა ნამუშევრებს და ამოწმებს, რამდენად სწორად შეაფასა პედაგოგმა შესრულებული დავალებები. (რამდენად ზომავს ის სტანდარტის მოთხოვნებს).

ეს ნიშნავს იმას, რომ შეფასების რუბრიკა უნდა შეესაბამებოდეს შესასრულებელი დავალების მიზანსა და შინაარსს - იყოს ობიექტური და გამჭვირვალე. იმ შემთხვევაში თუ დავალება არასათანადო რუბრიკით შეფასდა, ექვეყემ დგება საერთო წლიური ქულა და სწავლის შედეგის დადასტურება.

7. შერჩევის ეტაპზე ვერიფიკატორი აგროვებს მასწავლებლის მიერ ჩატარებული შემაჯამებელი სამუშაოს ნიმუშებს, შეფასების რუბრიკას და აზუსტებს სტანდარტის იმ შედეგებს, რომლის მიღწევასაც ემსახურებოდა აღნიშნული დავალება. შესაძლებელია პროცესი განხორციელდეს არამხოლოდ შემაჯამებელი, არამედ

ნებისმიერი სხვა ტიპის დავალების შეფასებისას. ორივე შემთხვევაში შემფასებელს დასჭირდება ზემოაღნიშნული დოკუმენტაცია.

8. შერჩევისას არსებითად მნიშვნელოვანია ვერიფიკატორმა თავად აირჩიოს რომელი მოსწავლის შეფასებულ ნამუშევარს განიხილავს.

გარდა ზემოაღნიშნულისა, შერჩევისას გათვალისწინებული უნდა იყოს შემდეგი სახის ფაქტორები:

1. მასწავლებლის გამოცდილება და შეფასების განხორციელების არსებული პრაქტიკა;
2. შერჩევისას დაცული უნდა იყოს სქესთა ბალანსი;
3. იმ შემთხვევაში, თუ კლასში სწავლობს სსსმ მოსწავლე, სასურველია შერჩევაში მისი ნამუშევარიც მოხვდეს, რათა შეფასდეს რამდენად სწორად იყენებს მასწავლებელი ინდივიდუალური სასწავლო გეგმით განსაზღვრული შეფასების მეთოდებს;
4. ნაშრომები არ უნდა იყოს მხოლოდ წარმატებული მოსწავლეების, აუცილებელია ისეთი ნამუშევრების შერჩევაც, რომელიც მასწავლებელს საშუალოდ, ან საშუალოზე დაბალი ქულით აქვს შეფასებული.

შეფასების პროცესის დასრულების შემდეგ, გაიმართება სამუშაო შეხვედრა, რომლის დროსაც შიდა ვერიფიკატორი ავსებს წინასწარ შემუშავებულ ფორმას, რომელსაც განიხილავს პედაგოგთან ერთად. იგი აფიქსირებს ხარვეზებს და აძლევს პედაგოგს რეკომენდაციას პროცესის გაუმჯობესებასთან დაკავშირებით. აუცილებელია ამ შეხვედრას ესწრებოდეს კათედრის ხელმძღვანელი და ადმინისტრაციის წარმომადგენელი:

1. მასწავლებელს მიეცემა შესაბამისი უკუკავშირი და მიეწოდება არსებული ხარვეზების შესახებ დეტალური ინფორმაცია.
2. საგნობრივი კათედრის ხელმძღვანელი ხარისხის მართვისა და მხარდაჭერის ჯგუფთან ერთად გეგმავს ხარისხის გაუმჯობესებისა და მასწავლებლის პროფესიული განვითარებისათვის საჭირო აქტივობებს.
3. შესაბამისად, უკუკავშირი გაიცემა სათანადო (პოზიტიური) ფორმით და არ უნდა მიუთითებს მხოლოდ უარყოფით მხარეებსა და აღმოჩენილ ხარვეზებზე.

დანართი უშუალოდ შემოწმების დროს, შიდა ვერიფიკატორმა უნდა შეავსოს სათანადო ფორმა, სადაც აღწერს მასწავლებლის მიერ განხორციელებული შეფასების შემოწმების შედეგებს, პროცესის მიმდინარეობას და გასცემს რეკომენდაციებს. აღნიშნული ფორმა შესაძლებელია სკოლამ თავად შეიმუშაოს საგნობრივი კათედრების ჩართულობით და განიხილოს პედაგოგიურ საბჭოზე. მნიშვნელოვანია, სასკოლო საზოგადოების შეთანხმება

ისეთ არსებით დოკუმენტზე, რომელიც მომავალში უშუალოდ მათი მუშაობის პროცესის შეფასებისთვის იქნება გამოყენებული. ამით, ერთი მხრივ, ადმინისტრაცია ანაწილებს პასუხისმგებლობას ორგანიზაციის წევრებზე და, მეორეს მხრივ, ზრდის ინფორმირებულობის დონეს დაწესებულებაში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ეროვნული სასწავლო გეგმა
2. სკოლის მეთოდოლოგიური გზამკვლევი მოსწავლის შეფასების მიმართულებით - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
3. მასწავლებლის წიგნი: შეფასება. თამთა კობახიძე გიორგი ნოზაძე მაია ინასარიძე მანანა ბოჭორიშვილი
4. თვითშეფასება, როგორც ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი - თამთა კობახიძე, ჟურნალი "Mastscavlebeli"
5. სწავლის შედეგების შიდა გარე შეფასება (ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა სკოლაში ნაწილი. თამთა კობახიძე

განხილვის დროს ვისარგებლოთ ამ მაგალითით:

მაგალითისათვის

განვიხილოთ შემდეგი სიტუაცია: სკოლას ჰყავს 4 ქართულის მასწავლებელი. ყველა კლასში საგნობრივი სტანდარტით გათვალისწინებულია მისაღები შედეგები. ასევე განსაზღვრულია შემაჯამებელი დავალებების რაოდენობა. ქართული ენის კათედრა წლის დასაწყისში ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის მონაწილეობით ირჩევს ერთ შიდა შემფასებელს, რომელიც სასწავლო წლის განმავლობაში აკვირდება მასწავლებლების მიერ დაწერილი ქულების ობიექტურობას. არსებითად მნიშვნელოვანია, მასწავლებლებმა ყველა მტკიცებულება შეაგროვონ და შეინახონ, რათა საბოლოო შედეგების დადასტურებისას არგუმენტირებულად წარმოადგინონ პოზიცია. ზეპირი გამოკითხვის დროს მტკიცებულება იქნება ვიდეოჩანაწერი, წერილობითი დავალების დროს – გასწორებული ნამუშევრები, პროექტის განხორციელების შემთხვევაში – მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებები და ა.შ. შიდა შემფასებელი აკვირდება და ამოწმებს მასწავლებლის მიერ შემაჯამებელ დავალებებში გაცემულ შეფასებას, ამიტომ საჭიროა, ყველა დავალებას თან ახლდეს შეფასების რუბრიკა.

